

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

ქალაქ სამტრედიის №2 საჯარო სკოლის სახელოსნოს, სასროლეთის და
სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილორის სკოლის
სახელოსნოს და სანკვანძის შენობების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

თბილისი 2015 წელი

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტო

ქალაქ სამტრედიის №2 საჯარო სკოლის სახელოსნოს, სასროლეთის და
სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილორის სკოლის
სახელოსნოს და სანკვანძის შენობების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ზ. ნიკოლაიშვილი

ორგანიზაციის პროექტის ავტორი



ტ. სტურუა

თბილისი 2015 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „მო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; „სადემონტაჟო სქემა (სამტრედიის №2 სკოლა)“

ნახაზი „მო-2“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; „სადემონტაჟო სქემა (ილორის სკოლა)“

განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის სახელოსნოს, სასროლეთის და სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილორის სკოლის სახელოსნოს და სანკვანძის შენობების დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს მიერ. წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

ასევე, სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის 1988 წელს აშენებული სახელოსნოს შენობა არის ზომებში 14,5x19 მ.

მზიდი კედლები სისქით 40 სმ, ბეტონის წვრილი ბლოკებით. დახურვა-ხის ფერმებით. სახურავი - ხის კონსტრუქციებზე, ორქანობიანი.

შენობის კედლების ცვეთის ხარისხი ძალზე მაღალია. სახურავისგან დარჩენილია მხოლოდ ხის ფერმები. შენობის იატაკი და კარ-ფანჯარა დემონტირებულია. შენობის აღრგენა არარენტაბელურია და ექვემდებარება დემონტაჟს.

1976 წელს აშენებული სასროლეთის შენობისგან ამჟამად დარჩენილია 30 მ სიგრძის წვრილი ბლოკით ნაშენი ფასადის კედელი, რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს.

სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილორის სკოლის სახელოსნოს შენობა არის 5,5x21,5 მ ზომებით. მზიდი კედლები - ბეტონის წვრილი ბლოკებით. დახურვა - ხის კოჭებზე. სახურავი - ხის კონსტრუქციებზე აზბესტცემენტის შიფერით.

სახელოსნოს კედლები ცვეთაგანცდილი და ნაწილობრივ ჩამონგრეულია. სახურავი ჩაშლილია. შენობა ექვემდებარება დემონტაჟს.

სანკვანძის ნაგებობა გეგმაში 1,5x3 მ ზომის. კედლები - ბეტონის წვრილი ბლოკებით. დახურვა - ხის კოჭებზე. ხის სახურავი დაფარულია აზბესტცემენტის შიფერით.

სანკვანძის კედლები ჩანგრეულია, სახურავი ჩაშლილია. ნაგებობა ექვემდებარება დემონტაჟს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის სახელოსნოს, სასროლეთის და სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილორის სკოლის სახელოსნოს და სანკვანძის შენობების დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 2 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-7 დღე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის და ყოფილი ილორის სკოლის შენობების სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი-მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი-დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) სადემონტაჟო შენობების კონტურის გასწვრივ, გარე კონტურიდან 3 მეტრის მანძილზე ეწყობა დროებითი ღობე მავთულბადისგან (დემონტაჟის სახიფათო ზონის შემოსაზღვრა).

2) დროებითი შენობის მოწყობა.

3) შენობის შიგა ელ.ქსელის გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4) მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.

5) სახიფათო ზონების ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

6) დროებითი სასაწყობო მოედნების მომზადება.

ძირითად პერიოდში ხორციელდება პარალელურ რეჟიმში სახელოსნოს, სასროლეთის, ყოფილი ილორის სკოლის სახელოსნოს და სანკვანძის შენობების სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ეტაპებად:

I ეტაპი - სახურავის დემონტაჟი

II ეტაპი - ანაკრები ხის კოჭების დემონტაჟი

III ეტაპი - წვრილი ბეტონის ბლოკების კედლების და ტიხრების დემონტაჟი

IV ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლისა და გამსხვილებული ბლოკებით დაშლის მეთოდებით, დემონტაჟის ტექნოლოგიის შესაბამისად.

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟი სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) დახურვის ხის კოჭების დემონტაჟი

ბ) წვრილი ბლოკის მზიდი კედლების დემონტაჟი.

გ) საძირკვლების დემონტაჟი

V. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობების სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანმიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან შიგა ელ. ქსელი, წყალმომარაგების ქსელი.

ანაკრები ხის კოჭების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა, განლაგება და მაქსიმალური წონა.

მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“. ბლოკის მზიდი კედლების დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დახურვის ყველა ანაკრები ხის კოჭი დემონტირებულია.

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

ტიხრების, კარებების, ფანჯრების, სახურავის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით.

წვრილი ბლოკის მზიდი კედლებისა და ტიხრების დემონტაჟი ხორციელდება ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით-მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი ბლოკის კედლების დემონტაჟი

2) მონგრევის გზით - უვარგისი ბლოკის კედლების დემონტაჟი.

დახურვის ანაკრები ხის კოჭების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 16ტნ.

სამშენებლო ნაგვის აღება ხორციელდება ექსკავატორით ჩამჩის ტევადობით 0.25 მ³. ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალები და კონსტრუქციები დასაწყობდება დროებით სასაწყობო მოედნებზე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას საავტომობილო ამწე მოძრაობს შენობების გარე გრძივი კონტურის გასწვრივ, კონტურთან მიხედვით 4,0 მ-ზე. (იხ. „სადემონტაჟო გენგეგმა“).

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე, ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება „ზემოდან-ქვემოთ“ ხორციელდება დახურული ღარების და ბუნკერების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის მოთხოვნები.

VI. საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობების სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 16ტნ. - 1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0.25მ³ - 1ცალი

3. მოძრავი კომპრესორი - 1ცალი
4. ავტოთვითმცლელები - 1ცალი
5. ბორტული ავტომატანა - 1ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები - 1კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები - 1ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები - 1ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი - 1ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები - 10მ²

VII. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ელ.ქსელი და წყლის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები ხის კოჭების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები, განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 3.0 მეტრს.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სკოლის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსები დაზუსტდეს ადგილზე.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები, რეზინის ხელთათმანები, ჩაფხუტები და სხვა).

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქაშის, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.



მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყისის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვიტმცლელელებით ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.



30693000 3260335330;

U.S. 650,000,000 650,000,000 650,000,000 650,000,000

0603640083-961302 16592961026999

1980-1981 1982-1983 1984-1985 1986-1987 1988-1989 1990-1991 1992-1993 1994-1995 1996-1997 1998-1999 2000-2001 2002-2003 2004-2005 2006-2007 2008-2009 2010-2011 2012-2013 2014-2015 2016-2017 2018-2019 2020-2021 2022-2023 2024-2025 2026-2027 2028-2029 2030-2031 2032-2033 2034-2035 2036-2037 2038-2039 2040-2041 2042-2043 2044-2045 2046-2047 2048-2049 2050-2051 2052-2053 2054-2055 2056-2057 2058-2059 2060-2061 2062-2063 2064-2065 2066-2067 2068-2069 2070-2071 2072-2073 2074-2075 2076-2077 2078-2079 2080-2081 2082-2083 2084-2085 2086-2087 2088-2089 2090-2091 2092-2093 2094-2095 2096-2097 2098-2099 2100-2101 2102-2103 2104-2105 2106-2107 2108-2109 2110-2111 2112-2113 2114-2115 2116-2117 2118-2119 2120-2121 2122-2123 2124-2125 2126-2127 2128-2129 2130-2131 2132-2133 2134-2135 2136-2137 2138-2139 2140-2141 2142-2143 2144-2145 2146-2147 2148-2149 2150-2151 2152-2153 2154-2155 2156-2157 2158-2159 2160-2161 2162-2163 2164-2165 2166-2167 2168-2169 2170-2171 2172-2173 2174-2175 2176-2177 2178-2179 2180-2181 2182-2183 2184-2185 2186-2187 2188-2189 2190-2191 2192-2193 2194-2195 2196-2197 2198-2199 2200-2201 2202-2203 2204-2205 2206-2207 2208-2209 2210-2211 2212-2213 2214-2215 2216-2217 2218-2219 2220-2221 2222-2223 2224-2225 2226-2227 2228-2229 2230-2231 2232-2233 2234-2235 2236-2237 2238-2239 2240-2241 2242-2243 2244-2245 2246-2247 2248-2249 2250-2251 2252-2253 2254-2255 2256-2257 2258-2259 2260-2261 2262-2263 2264-2265 2266-2267 2268-2269 2270-2271 2272-2273 2274-2275 2276-2277 2278-2279 2280-2281 2282-2283 2284-2285 2286-2287 2288-2289 2290-2291 2292-2293 2294-2295 2296-2297 2298-2299 2300-2301 2302-2303 2304-2305 2306-2307 2308-2309 2310-2311 2312-2313 2314-2315 2316-2317 2318-2319 2320-2321 2322-2323 2324-2325 2326-2327 2328-2329 2330-2331 2332-2333 2334-2335 2336-2337 2338-2339 2340-2341 2342-2343 2344-2345 2346-2347 2348-2349 2350-2351 2352-2353 2354-2355 2356-2357 2358-2359 2360-2361 2362-2363 2364-2365 2366-2367 2368-2369 2370-2371 2372-2373 2374-2375 2376-2377 2378-2379 2380-2381 2382-2383 2384-2385 2386-2387 2388-2389 2390-2391 2392-2393 2394-2395 2396-2397 2398-2399 2400-2401 2402-2403 2404-2405 2406-2407 2408-2409 2410-2411 2412-2413 2414-2415 2416-2417 2418-2419 2420-2421 2422-2423 2424-2425 2426-2427 2428-2429 2430-2431 2432-2433 2434-2435 2436-2437 2438-2439 2440-2441 2442-2443 2444-2445 2446-2447 2448-2449 2450-2451 2452-2453 2454-2455 2456-2457 2458-2459 2460-2461 2462-2463 2464-2465 2466-2467 2468-2469 2470-2471 2472-2473 2474-2475 2476-2477 2478-2479 2480-2481 2482-2483 2484-2485 2486-2487 2488-2489 2490-2491 2492-2493 2494-2495 2496-2497 2498-2499 2500-2501 2502-2503 2504-2505 2506-2507 2508-2509 2510-2511 2512-2513 2514-2515 2516-2517 2518-2519 2520-2521 2522-2523 2524-2525 2526-2527 2528-2529 2530-2531 2532-2533 2534-2535 2536-2537 2538-2539 2540-2541 2542-2543 2544-2545 2546-2547 2548-2549 2550-2551 2552-2553 2554-2555 2556-2557 2558-2559 2560-2561 2562-2563 2564-2565 2566-2567 2568-2569 2570-2571 2572-2573 2574-2575 2576-2577 2578-2579 2580-2581 2582-2583 2584-2585 2586-2587 2588-2589 2590-2591 2592-2593 2594-2595 2596-2597 2598-2599 2600-2601 2602-2603 2604-2605 2606-2607 2608-2609 2610-2611 2612-2613 2614-2615 2616-2617 2618-2619 2620-2621 2622-2623 2624-2625 2626-2627 2628-2629 2630-2631 2632-2633 2634-2635 2636-2637 2638-2639 2640-2641 2642-2643 2644-2645 2646-2647 2648-2649 2650-2651 2652-2653 2654-2655 2656-2657 2658-2659 2660-2661 2662-2663 2664-2665 2666-2667 2668-2669 2670-2671 2672-2673 2674-2675 2676-2677 2678-2679 2680-2681 2682-2683 2684-2685 2686-2687 2688-2689 2690-2691 2692-2693 2694-2695 2696-2697 2698-2699 2700-2701 2702-2703 2704-2705 2706-2707 2708-2709 2710-2711 2712-2713 2714-2715 2716-2717 2718-2719 2720-2721 2722-2723 2724-2725 2726-2727 2728-2729 2730-2731 2732-2733 2734-2735 2736-2737 2738-2739 2740-2741 2742-2743 2744-2745 2746-2747 2748-2749 2750-2751 2752-2753 2754-2755 2756-2757 2758-2759 2760-2761 2762-2763 2764-2765 2766-2767 2768-2769 2770-2771 2772-2773 2774-2775 2776-2777 2778-2779 2780-2781 2782-2783 2784-2785 2786-2787 2788-2789 2790-2791 2792-2793 2794-2795 2796-2797 2798

100

Northrup / *WOMEN'S*

EABR 62076(08)988

0678-9026(199605)10:5;1-P

086709 SWEDEN

UCCAS

Copyright © 2006 by John Wiley & Sons, Inc.

08698EAD09CE

- [illegible]

[illegible]

VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ქ. სამტრედიის №2 საჯარო სკოლის სახელოსნოს, სასროლოეთის და სამტრედიის №2 სკოლასთან შერწყმული ყოფილი ილიორის სკოლის სახელოსნოს და სანკვანძის შენობების დემონტაჟი

დემონტაჟის ხანგრძლივობა-2 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	
			I	II
1	2	3	4	5
1	I. მოსამზადებელი სამუშაოები			
1	დროებითი მავთულზადის ღობის მოწყობა	0.25	—	
2	დროებითი შენობის მოწყობა, შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან	0.25	—	
3	დროებითი სასაწყობო მოედნების მოწყობა, გამაფრთხილებელი და ამკრძალავი სიგნალების და ნიშნების მოწყობა	0.25	—	
	II. სადემონტაჟო სამუშაოები (სახელოსნოები, სასროლოეთი, სანკვანძი) :			
4	სახურავის დემონტაჟი	0.4	—	
5	დახურვის ანაკრები ხის კოჭების დემონტაჟი	0.6		
6	ბლოკის კედლების და ტიხრების დემონტაჟი	0.8		
7	სამირკვლების დემონტაჟი	0.5		
8	სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	1.0		
9	მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალის გატანა მოედნიდან	1.0		